№ 27. # სახალხო გაზეთი № 27.

ოთხშაბათი, 9 ივნისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა. წელიწადი პირველი

„სახალხო გაზეთის"

კანტორა აცხადებს, რომ ვისაც გაზეთის გამოწერა უნდა, ფული აუცილებლად ამ ადრესზე უნდა გამოგზავნოს: Тифлисъ Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.
ვისაც ფული გამოგზავნილი აქვს სხვა ადრესზე, ვთხოვთ აცნობონ ფოსტის კანტორას ამ ადრესზე გადასცენ ფული.

მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივნისამდე უნდა წარედგინათ 7 მანეთი. ვისაც ამაზე ნაკლები აქვს წარმოდგენილი, ვთხოვთ შემოიტანონ. პირველ ივლისიდან გაზეთის გზავნა მოესპობა ყველას, ვისაც 5 მან. 50 კაპ. ნაკლები აქვს წარმოდგენილი. აგრეთვე მოესპობათ გზავნა გაზეთისა, ვისაც ნახევარი წლითა ჰქონდა გამოწერილი.

სახალხო გაზეთის კანტორა.

ღრმად შეწუხებულნი: ევა თედეს ასული ყუშიტაშვილისა შვილებით, პავლე ზაალის ძე და მეუღლე მარიამ იაკობის ასული ყუშიტაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი— დაუვიწყარ მეუღლის და მამის, მეორე—ძვირფას ძმის, უკანასკნელი— მაზლისას

გიორგი (იაგორ) ზაალის ძის ყუშიტაშვილისას

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 10 ივნისს, დილის 10 საათზე, პრივაზნისკ., № 9, ანჩისხატის ტაძარში, შემდეგ დასაკრძალავად წაასვენებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1—312—1)

სახალხო სახლი

პარასკევს, 11 ივნისს, შესდგება I

ლიტერატურული გასამართლება „განდეგილი"-ს

ი. ჭავჭავაძის პოემიდან.

მონაწილეობენ: ბ-ნნი გლ. ბაქრაძე, ნ. ელიავა, შ. ელიავა, ი. ზურაბიშვილი, ი. მაჭავარიანი, შ. მეხშიშვილი, გ. მახარაძე, ს. ჯაფარიძე, კ. ჯაფარიძე და სხვ.

II წარმოდგენილი იქნება კ. ფოცხვერაშვილის პიესა

აშენდა საქართველო

სცენები 2 მოქმ. ქართ. სტუდენტების ცხოვრებიდან.

მონაწ. მიიღებენ: ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, ბადრიძე, მეტრეველი, პეპანოვი, სალაყაია, ჯაბაური და სხ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების ფასი 10 კ. 1 მ.-დე.
(3—1) გამგე ალ. ს. ლანდია.

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი

„ერი და კაცობრიობა"

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—4)

ბაღი მუზა

მიხაილოვის პროსპექტი № 163. კუთხე ბაქოს ქ.

ყოველდღე უკრავს სიმებიანი ორკესტრი, არის ბუფეტი და აგრეთვე აზიური და ევროპიული სამზარეულო. ბაღში შესვლა უფასოა. (25—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარ. 1—2 ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
პაპოვი ვ. ა. ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
სობოლევსკი გ. ვ. ქირურ. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—198)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ი. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
მიკროსკოპიული, ბაქტეროოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—359)

ექ. ვ. ლამბაშიძის სანატორიუმი

პატარა ცემში

გაიხსნება 15 ივნისს ორის განყოფილებით:
ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.
დაწვრილებით პირობების გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ლამბაშიძეს ბორჯომით პატარა-ცემს. (25—7)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
ზოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
ნოვიცკი—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.
ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.
კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველ-დღე, კვირის გარდა 4—5 საათ.
ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.
ასპიროვი—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.
ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.
ლიმონი—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—6.—50)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) ხატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—გკ.—61

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი ე. ვაჩნაძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—140)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—452)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

განცხადებების მომკრები აგენტი მ. ა. გაჩეჩილაძე

გადავიდა მიხეილისა და კიროჩნის ქ. ქ. კუთხეში, სასტუმრო „იმპერიალ-ში" და კვლავ განაგრძობს მუშაობას. (10—6)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—199)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—82)

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოთი 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

პეტერბურგის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ფილოლოგი, პედაგოგიურ სამეცნიერო წრის წევრი იყვანს ყველა კლასის მოწაფეებს. ბინა ვარდის უბნის ქუჩა, № 3. გ. მამრაძე. (3—6.—3)

ქართულ გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფე ამზადებს მოწაფეებს დაბალ გიმნაზიურ კლასებისთვის და სხვა სასწავლებლებში.

იკითხეთ „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში. (0—6.—1)

მოითხოვეთ ყოველგან

ნამდვილი ხვირისა და კახური ღვინოები

ჩაჩიბაიასი

იყიდება ყველა გასტრონომიულ მაღაზიებში და სასტუმრო რესტორანებში.

უმთავრესი საწყობი იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე № 13.
(20—გაუ.—1) პატივისცემით ჩაჩიბაია.

შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რული

ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—24)

ზემო ავჭალაში იძლევა აგარაკი

ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.

იკითხეთ „სახ. გაზ." რედაქციაში.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დრო გამოშვებით ჩვენში მკითხველისთვის კარგად ცნობილი „ზატერიანი" კავკასიის „ინოროდცებს" მოიგონებს და მუჯლუგუნებს წაჰკრავს ხოლმე. ამ ჟამადაც ეს გამოჩენილი გვამი, რომელსაც ჩვეულებრივად ყველგან და ყოველთვის სეპარტიზმი ეჩვენება, ქართველ თავად-აზნაურთა წარსულ კრებას ეხება და კახეთის რკინის გზის შესახებ თავის „ბრძნულ", სახელმწიფოებრივ ინტერესებით გამსჭვალულ მოსაზრებებს გამოსთქვამს გაზეთ „ნოვოე ვრემიაში".

„ტფილისის გუბერნიის თ.-აზნაურობამ თავის მატერიალურ საქმეების გაუმჯობესება მოისურვა,—სწერს ბ. ზატერიანი,—და ამ მიზნით კონცესიონობას მოჰკიდა ხელი. გაიმართა მიწერ-მოწერა მთავრობასთან კონცესიის ასაღებად. მაგრამ „წარჩინებულ" კონცესიონერებს ფინანსიურმა მხარემ სათავეში აუწეწ-დაუწეწა საქმეები. თავად-აზნაურობას ფული არ აქვს; თვითეული ქართველი მემამულე ძალზე დავალიანებულია. ადგილობრივი თავად-აზნაურობა, როგორც წოდებრივი კოლეგია, საქმის ხალხი არ არის.

დასამტკიცებლად ამისა ბ. ზატერიანს მაგალითად ისევ უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული ქართული თეატრი მოჰყავს, ხარჯთ-აღრიცხვით განსაზღვრულ 100 ათას მანეთის მაგიერ თავად აზნაურობამ თეატრს 350 ათასი მანეთი ჩააყარა, მაგრამ თეატრი მაინც ისეთი საძაგელი გამოვიდა, რომ ხალხს შიგ შესვლაც კი ეზარებაო. ამ გარემოებას „შეგნებული" ნაწილი თავად-აზნაურობისა ძალიან ჩაუფიქრებია.

ვაი თუ რკინის გზის გაყვანის დროსაც ესეთი საქმე დაგვემართოს, ვაი თუ ხარჯთ-აღრიცხვით განსაზღვრული ფული არ გვეყოს, მერე სადღა უნდა ვიშოვოთ, ხომ ისევ ვალებში ჩავცვივდით? ემჯობინება კონცესია სხვა კაპიტალისტებს გადავცეთო... დაიწყო დებატები, ქართველ ნაციონალისტებს ჯერ დათვი არ მოეკლათ და მის ტყავის გაყოფვას კიდეც შეუდგნენ. უმრავლესობამ გადასწყვიტა: ჩვენ თითონ გავიყვანთ რკინის გზას, ჩვენ თითონ... სხვა და სხვა წვრილ ხარჯებისთვის ხუთი ათასი მანათი გადავსდოთ.

ამის შემდეგ ბ. ზატერიანს თავის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნია დაარიგოს თავად-აზნაურობა და მოქმედების გეგმა დაუსახოს.

თქვენ ინიციატორობაც გეყოფათ, ტფილისის თავად-აზნაურობა ძალიან კარგათ მოიქცევა, თუ ამ საქმის განხორციელებას მიანდობს მთავრობას, რომლის საკუთრებასაც უნდა შეადგენდეს ყველა რკინის გზები განაპირა ქვეყნებში, განსაკუთრებით ისეთ მოუსვენარ ქვეყანაში, როგორიც კავკასიაა.

* *

მენშიკოვის სიამოვნებას საზღვარი არა აქვს. იგი კმაყოფილებით დასცქერის სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობას და თვალებზე სიხარულის ცრემლები ადგება.

სახელმწიფო სათათბირო ისვენებს... უფლებაცა აქვს დაისვენოს, მან თავისი მოღვაწეობით დაიმსახურა იგი. ახალგაზდა პარლამენტისადმი სიყვარულით დღეს ჩვენ პირველად ვიმსჭვალებით, პირველად იგრძნო რუსეთმა, რომ ახლად დაბადებულ დაწესებულებას შეუძლიან დიდი სამსახური გაუწიოს სამშობლოს. დასავლეთ გუბერნიათა, ერობისა და ფინლიანდიის საკითხმა გამაცოცხლებელ ქარ-ტეხილივით დაჰქროლა ჩვენს პარლამენტს.

რაში გამოიხატება ეს გამოცოცხლება მენშიკოვის წარმოდგენით? ველიკოროსთა შეერთებაში „ინოროდცების" წინაალმდეგ. ამ გამოცოცხლებაში, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით „ინოროდცებსაც" დიდი მონაწილეობა მიუღიათ. ყური დაუგდეთ მენშიკოვს და, თუ აქამდის არა გჯეროდათ, ეხლა უსათუოდ დაიჯერებთ.

მე პირადათ წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ რუსულ დაწესებულებებში არა რუსებიც იღებდნენ მონაწილეობას,—გვეფიცება მენშიკოვი,—მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია. „ინოროდცების" არსებობამ სახ. სათათბიროში ნათელჰყო, რამდენად ძალიანა სძულთ მათ რუსეთი. ამან კი თავის წილად გამოიწვია გაბატონებულ ერის შეკავშირება... ჩვენ ყოველთვის დარწმუნებულნი ვიყავით, რომ „ინოროდცები" იგივე რუსები არიან. პოლონელებმა, ებრაელებმა, მუსულმანებმა, ქართველებმა, და სომხებმა კი მაშინვე განაცხადეს, ჩვენ სხვა ერები ვართ და ყველას რუსები გვეჯავრებაო.

აღმოაჩინა რა ეს იდუმალი გრძნობანი „ინოროდცებისა", მენშიკოვი ყვედრებას შეუდგა.

რუსები მზათ იყვნენ თავისი ძმური ხელი გაეწოდათ ყველა ამ ებრაელებისთვის, პოლონელებისთვის, სომხებისთვის, პასუხათ კი რა მიიღეს? სიძულვილი. რისთვის? ნუ თუ იმიტომ რომ ისინი სრულის და თანასწორის უფლებებით არიან აღჭურვილნი?

ყველა ამ საქეთეს „ინოროდცები" თურმე ვერა ხედავდნენ და გულში რუსებისადმი სიძულვილს ატარებდნენ არა ყოფილა, თურმე, არავითარი დევნა წვრილ ერებისა, ყველას ადვილად შეეძლო ბედნიერების დაუშრეტელ წყაროს დასწაფებოდა, მაგრამ „ინოროდცები" უმადურნი აღმოჩნდნენ, ისინი თავისი მდგომარეობით არ დაკმაყოფილდნენ და რუსეთის დაპყრობა განუზრახავთ, მაგრამ რუს ნაციონალისტების გამჭრიახ გონებას მალე აღმოუჩენია ეს საფრთხე და შესაფერი ზომებიც მიუღია. რატომ არ უნდა იყოს კარგს გუნებაზე „ნოვოე ვრემიას" „რაინდი" პუბლიცისტი?!

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

**5 ივნისის სხდომა.**

თავმჯდომარეობდა გუჩკოვი. კომისიას გადაეცა განცხადებანი ზოგიერთ შეკითხვების შესახებ. ამურის რკინის გზაზე ჟანდარმთა მმართველობის მოწყობის შესახებ კომისიამ განაცხადა, სახელმ. სათათბირომ ჰარტო საჭირო ფულის გადადებაზე კი არ უნდა იმსჯელოს, არამედ თვით მმართველობის შტატზედაც, ვინაიდან ჟანდარმთა კორპუსი სამოქალაქო უწყებაში შედის და სამხედრო საქმეებს არ ემსახურებაო. ჟანდარმთა კორპუსის უფროსი წინაალმდეგს ამტკიცებდა, მაგრამ სახ. სათათბირომ კანონ-პროექტი მაინც კომისიის რედაქციით მიიღო. ამის შემდეგ ცამეტი კანონ-პროექტი სხვა და სხვა ადგილებში ჟანდარმთა შედგენილობის გაფართოვების შესახებ მიღებულ იქმნა 120 ხმის უმრავლესობით წინაალმდეგ 28.

კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც სასულიერო სასწავლებელში მოსამსახურეთ ხაზინიდან უნდა მიეცეს 233 ათასი მანეთი და ამით მათი ჯამაგირები გაუთანასწორდეს საერო განათლების სამინისტროს გამგებლობაში მყოფ მოხელეებს, სახალხო განათლების კომისიას მიუღია და გამოუთქვია სურვილი, რომ უწყებამ რაც შეიძლება მალე წარმოადგინოს სათანადო კანონ-პროექტი ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლებში მოსამსახურეთა უზრუნველ-საყოფელად პენსიით. მართლ-მადიდებელ ეკლესიის საქმეთა კომისია დასთანხმებია, საბიუჯეტო კომისიასაც თანხმობა განუცხადებია, მხოლოდ იმ ცვლილებით, რომ კანონ-პროექტიდან გამორიცხულ იქმნას სასულიერო აკადემიებისთვის გადადებული კრედიტი, რადგან უმაღლესად დამტკიცებულ სინოდის მოხსენებით აკადემიები ისევ სინოდის ხარჯით უნდა ინახებოდეს, ასე რომ წესდება და შტატი აკადემიებისა საკანონმდებლო დაწესებულებათა დაუკითხავად იქმნა დამტკიცებული. სახალხო განათლების კომისიის აზრს იცავენ ბერეზოვსკი მეორე და ტიჩინინი, საბიუჯეტო კომისიისას—კლიუჩევი. კაპუსტინი საბიუჯეტო კომისიის დასკვნას ეთანხმება, მაგრამ შეუძლებლად მიაჩნია სინოდის უკანონო საქციელის გამო აკადემიათა პროფესორები და მასწავლებლები დაისაჯონ (ტაში მარჯვნით). კლიუჩევი წინადადებას აძლევს სასულიერო უწ-

ყებას თავის საკუთარ წყაროებიდან აღმოუჩინოს დახმარება აკადემიების პროფესორებს. **ლვოვი მეორე** ისტორიულის საბუთებით ამტკიცებს, რომ აკადემიებს სრული იურიდიული და ზნეობრივი უფლება აქვთ ხაზინის დახმარებით ისარგებლონ. საბიუჯეტო კომისიის მოტივი კი—აკადემიათა წესდება საკანონმდებლო დაწესებულებათა დაუკითხავად იქმნა დამტკიცებული—მას შეუსაბამო მოტივად მიაჩნია, რადგანაც საეკლესიო საკითხები მონარქის პრეროგატივებს შეადგენსო. 83 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 65 კანონ-პროექტი უარყოფილ იქმნა.

უკამათოთ მიიღეს მთელი რიგი წვრილ კანონ-პროექტებისა. ეპისკოპოსი მიტროფანე დეპუტატ მღვდლების სახელით პროტესტს აცხადებს სათათბიროს მიერ იმ კანონ-პროექტის უარყოფის შესახებ, რომელიც სასულიერო სასწავლებლების მოსამსახურეებზე ჯამაგირის მომატებას ეხება.

სარედაქციო კომისიის თავმჯდომარე **მატიუნინი** მოხსენებას კითხულობს სათათბიროს მიერ მიღებულ კანონ-პროექტების საბოლოო რედაქციის შესახებ და ამბობს, რომ მესამე სესსიის დროს სარედაქციო კომისიაში 429 პროექტი შემოსულა, რომელთაგან 427 რედაქცია გაუკეთებიათ და საბჭოში გადაუციათ, ხოლო ორი გადაუდვიათ შემოდგომამდის (ხანგრძლივი ტაში ყველა მხრიდან).

სასურველად სცნეს 48 მილ. გადადება გადასახლებულთა ახალი ტიპის ვაგონების ასაშენებლად. რკინის გზის სამმართველოს უფროსი აცხადებს, რომ მთავრობა ვერ იკისრებს ამ პროექტის შემუშავებას.

სასურველად სცნეს აგრეთვე პროექტი სახალხო სკოლების ინსპექტორის თანამდებობაზე დედაკაცების დანიშვნაზე, რომლის შესახებ წაკითხულ იქმნა სახალხო განათლების მინისტრის წერილი, რომ ის თანხმობას აცხადებს ამ კანონ-პროექტის შემუშავებაზე.

იმ წინადადების შესახებ, რომელიც კიევის, პოდოლის, ვოლინის და სტეპნოი საგენერალ-გუბერნატორების გაუქმებას ეხება, საზოგადო საქმეთა დეპარტამენტის გამგე **არბუზოვმა** განაცხადა, რომ სამინისტრო უდროვოდ სთვლის პროექტს და ვერ იკისრებს მის შემუშავებას. სათათბირო პროექტს კომისიაში აძლევს.

**კაპუსტინის** წინადადებით სათათბირომ საუნივერსიტეტო საქმეთა კომისიაში გადასცა პროექტი, რომელიც ყაზანის, ხარკოვის, კიევის და ოდესის უნივერსიტეტების ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტებთან აგრონომიული განყოფილების დაარსებას ეხება.

ყაზახთა ჯარის უმთავრესი სამმართველოს გამგე აცხადებს, რომ სამხედრო სამინისტროს შემოდგომაზე სათათბიროში შეაქვს პროექტი, კუბანის და თერგის ოლქებში ეროზის შემოღების შესახებ. საკანონმდებლო წინადადება ამ საქმეზე სასურველად იქმნა ცნობილი. შემდეგს სხდომას განსაკუთრებულ უწყებით აცნობებენ.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

7-8 ივნისი.

## საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** 4 ივნისს დილისით ქვედა პალატაში მოხდა პირველი კონფერენცია კონსტიტუციონურ საკითხების გადასაწყვეტად. კონფერენციას დაესწრნენ ასკვიტი, ლოიდ ჯორჯი, ბერრელი, ბალფური, ლენსდოუნი, კაუდორი და ოსტენ-ჩემბერლენი.

**კოპენჰაგენი.** უმაღლესმა სასამართლომ ყოფილ მინისტრ-პრეზიდენტ ხრისტენსენის და შინაგან საქმეთა მინისტრის ბერგის საქმის გამო განაჩენი გამოიტანა. მათ უმოქმედობა ბრალდებოდათ სამსახურის დროს. სასამართლომ ქრისტენსენი გაამართლა, ხოლო ბერგს მიუსაჯა 1000 კრონი ჯარიმა. თუ ჯარიმას არ გადაიხდის 60 დღით დაპატიმრებულ იქმნება.

**ბერლინი.** სერბიის პრესს-ბიურო უარყოფს იმ ცნობებს, ვითომ ხელმწიფე თავ. ნიკოლოზის იუბილეზე ცეტინიეში იმიტომ მისულიყოს, რომ ბომბისტების ამნისტია მოეთხოვოს. სერბიის და ჩერნოგორიის მთავრობების შორის ამის შესახებ არავითარი ლაპარაკი არა ყოფილა; ამ სახელმწიფოთა შორის მეგობრული განწყობილება სუფევსო.

**ბუდაპეშტი.** ღამე რუმინიის საზღვარზე კრასოვის და კრონშტადტის მიდამოებში წვიმებისა გამო ნიაღვარი მოვარდა. 300 კაცზე მეტი დაიღუპა. ხელმწიფემ დაზარალებულთა სასარგებლოდ 100,000 კრონი შესწირა.

**ბერლინი.** მიწადმოქმედების მინისტრი ფონ არნიმი და შინაგან საქმეთა მინისტრი მოლტკე თავის ნებით გადადგნენ სამსახურიდან. პირველის ალაგზე დაინიშნა რეინის პროვინციის უფროსი პრეზიდენტი ფონ-შორლემერი, ხოლო მეორისაზე სილეზიის უფროსი პრეზიდენტი ფონ-დალვიცი.

**ნიუ-იორკი.** მოვიდა რუზველტი. მას დიდი ოვაციებით და ზარბაზნის სროლით შეხვდნენ. ბატერი-პარკში, სადაც იგი ნაპირზე გადმოვიდა, გამართული იყო ტრიბუნები კაბინეტის, სენატის, კონგრესის და დიპლომატიურ კორპუსის წევრებისათვის. ქალაქის თავმა გეინორმა მისაგებებელი სიტყვით მიმართა. პრეზიდენტ ტაფტის მხრივ რუზველტს მიულოცეს პრეზიდენტის ადიუტანტებმა. რუზველტს თან ახლდა ძველ ცხენოსან-მეომართა რაზმი. დიდძალი ხალხი რიგრიგათ იყო ჩამწკრივებული.

**სარაევო.** სეიმის მიერ არჩეულ კომისიაში არ მოჰყვა ეპისკოპოს შტადლერის არც ერთი წევრი, არც ერთი ვირილისტი.

**ვილლპრე.** საღამოს ექვს საათზე პარიზიდან მომავალი სწრაფი მატარებელი დაეჯახა სადგურზე მდგომ სამგზავრო მატარებელს. მოკვდა ათი, დაშავდა 26 კაცი.

**სოფია.** გალიციის პოლონელები უარს არ არიან კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე. როგორც ეტყობა ეს კრება უფრო მრავალ რიცხვოვანი იქნება, ვიდრე პრაგისა. მოელიან სლოვაკების, პოზნანელ პოლონელების, ბოსნელების და ჩერნოგორელების წარმომადგენლებს.

**ვაშინგტონი.** რკინის გზების ბილლს ტაფტმა ხელი მოაწერა.

**პეკინი.** პროვინციის სათათბიროს პალატების, მეცნიერთა და ვაჭრო სფეროების, პოლიტიკურ კლუბების და სხვ. დეპუტატებმა, რიცხვით 149 კაცმა, ხელმეორედ სთხოვეს მთავრობას ახლო მომავალში პარლამენტი მოიწვიოს.

**კალე.** ამას წინად ჩაძირულ წყალქვეშ მავალ ნავ „პლიუვოზი“დან კიდევ ამოიღეს 10 დამხრჩვალის გვამი.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** დაიწყო ბერძნების რესტორანების და მაღაზიების ბოიკოტი.

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს რიფაატ-ფაშამ გაიხსენა კრიტეს საკითხი და სხვათა შორის განაცხადა, რომ სახელმწიფოებს სწამთ ოსმალეთის სუვერენიტეტი, მაგრამ რადგან მომენტს შეუფერებლადა სთვლიან, კონფლიქტის თავიდან ასაცდენად ჯერ-ჯერობით პრინციპიალურ გადაწყვეტილებას არ ადგებიან. შეიძლება ამ გადაწყვეტილებას შევეცილოთ, მაგრამ დრომდე უნდა თავი შევიკავოთო.

**სალონიკი.** იპეკში სასხედრო მოქმედება დამთავრდა. იპეკში გაძლიერებულია დაცვა. ჯარი სახლებსა და მცხოვრებლებს ჩხრეკს. 2577 თოფი წაართვეს. პოდგორში გაიგზავნა სამი ბატალიონი მცხოვრებლების იარაღის ჩამოსართმევად. გამოიცა ბრძანება მალესიისაკენ გაილაშქრონ. შევქეთ-თურგუთი ჯარს იუნიკში უვლის თავს. აქ ჯერ-ჯერობით 16 ბატალიონი და რამდენიმე სამთო ბატარეია სდგას. დიაკოვიდან იუწყებიან, რომ ამ დღეებში იუნინის გზით მალესიაში წავიდა 16 ბატალიონი 20 სამთო ზარბაზნით. ჯარმა სოფელ მორინის პატარა გორაკები დაიჭირა. ამ გზით შეიძლება მალესიაში შესვლა. ექვსი ბატალიონისაგან შემდგარი მეორე რაზმი სამთო ზარბაზნებით გაიგზავნა ხასში, რათა ალბანელები მალესიას ჩამოაშორონ; მესამე რაზმი, რომელიც რვა ბატალიონისაგან შესდგება, იპეკიდან როგოვის გზით მიდის მალესიაში. მეამბოხეებს სულით დაცემა ეტყობათ. ამ დღეებში უმთავრეს ბინას პრიზრენში გადაიტანენ. მეამბოხეებთან მოლაპარაკება გამართეს. როგორც ხმები დადის მეამბოხეთა წინამძღოლს სულეიმან ბატუშს არ დასჯიან, თუ თავის ნებით დანებდება და ისსა-ბოლეტინაცს მისცემს მთავრობას. დიბრიდან 6000 ალბანელის ჰუსეინ-ბეის წინამძღოლობით ლიუმსკენ წასვლის შესახებ ხმები მართლდება. მათი წასვლა გამოიწვია დიაკოვის და იპეკის ორმოცმა ემისარმა, რომელნიც მრავალ რიცხვოვან კრებაზე მოუწოდებდნენ სოლიდარობა გამოეცხადებინათ კოსოვის მეამბოხეთათვის. გადასწყვიტეს მიეშველნენ კოსოვის ალბანელებს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ.

**სალონიკი** მალესიაში და ხასში მომქმედ შევქეთ-ფაშის და ოსმან-ფაშის დივიზიებს რამდენიმე შეტაკება მოუხდა აჯანყებულებთან. ჯარმა რამდენიმე მოსახლეობა გაანადგურა.

## სპარსეთი

**ურმია.** საფრანგეთის და ამერიკის სასულიერო მისიებმა თავრიზში თავიანთ ელჩებს გაუგზავნეს ოსმალეთის ინტრიგების წინააღმდეგ პროტესტი. ეს ინტრიგები ურმიის გლეხების მშვიდობიანობისთვის საშიშოაო. ქურთებმა, სოფელ სენგერს რაკი ვერა დააკლეს რა, გაცარცვეს მახლობელი სოფელი. მცხოვრებლებმა მართლმადიდებელ მისიას შეაფარეს თავი და დახმარებას მოითხოვენ.

**თავრიზი.** ორმა ცხენოსანმა ყაზახმა შეამჩნია, რომ ერთი სახლის წინ რუსის ჯარიდან გამოქცეული კაცი იჯდა და მათ დანახვაზე სახლში შევარდა. ერთი ყაზახი იქვე დარჩა, ხოლო მეორე გაიქცა უფროსთან. მაშინვე მოვიდა რუსის ყაზახების რაზმი აფიცრებით. რუსეთის ელჩის მიერ გამოგზავნილმა საელჩოს სეკრეტარმა დაარწმუნა იგინი ჩხრეკა არ მოეხდინათ, რადგან ადგილობრივ პირობების მიხედვით ჩხრეკა აქ აკრძალულიაო. ყაზახებმა სახლს თავი დაანებეს. რუსეთის ელჩის მოთხოვნა—მისცეს ჯარიდან გამოქცეული — გენერალ-გუბერნატორს ჯერ არ შეუსრულებია. სახლის პატრონი, სადაც ჯარიდან გამოქცეულმა შეაფარა თავი, მოლა სექეთულ-ისლამია, იგი სათარ-ხანის და ბაგირ-ხანის სულის ჩამდგმელია. გენერალ-გუბერნატორმა ვერ გაბედა მოსთხოვოს მას ჯარის კაცის გაცემა, რომელმაც ეხლა ხანს ოსმალეთის ქვეშევრდომობა მიიღო. რუსეთის ელჩმა მეორედ წარუდგინა გუბერნატორს მოთხოვნილება მისცეს ჯარიდან გამოქცეული.

**თავრიზი.** მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და რუსეთის ქვეშევრდომები დაამშვიდა. ქალაქში სიწყნარეა.

**თავრიზი.** რუსეთის ელჩმა მოსთხოვა გენერალ-გუბერნატორს ერთად გამოიძიონ და დასაჯონ რუსეთის საელჩოს წარმომადგენლის თანადასწრებით ის პოლიციელნი, რომლებმაც რუსეთის ქვეშევრდომს ბაბოიანს სცემეს. გენერალ-გუბერნატორმა ამაზე უარი განაცხადა. რადგან თავრიზში მდგომ რუსის ჯარის მოვალეობაა დაიცვას რუსეთის და უცხოელი ქვეშევრდომები, ამიტომ შემდეგი ზომები მიიღეს: პარასკევს დილით იმ ქუჩებში, სადაც ბაბოიანს სცემეს, გაგზავნეს რუსის ჯარის პატრულები. პატრულებმა უინციდენტოდ შეიპყრეს 19 ადგილობრივი პოლიციელი. შეპყრობილთა დამნაშავეთა ვინაობას გამოკითხავენ. ამ ზომამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, იგი ჰკუას ასწავლის სპარსეთის უდისციპლინო პოლიციელებს თავიანთი თვითნებობა აღარ გაიმეორონ უცხოელ ქვეშევრდომებზეო.

**თეირანი.** სპარსეთის მთავრობამ რუსეთის ელჩს ნოტა გაუგზავნა, რომელშიაც ატყობინებს, რომ დამოენის სროლის ინციდენტის გამოძიება უკვე დაიწყოთ და სინანულს აცხადებს ამ სამწუხარო ინციდენტის გამო.

**თეირანი.** რუსეთის ქვეშევრდომის სავლაევის მოკვლის გამო სამსახურიდან გადააყენეს მაზანდარანის გუბერნატორი. რუსეთის საკონსულომ ასტრაბადის ადმინისტრაციას 10,000 მანეთი ჯარიმა გადაახდევინა.

## რუსეთი

**კიევი.** კიევის სადგურზე პირველად გადაბრუნდა სამგზავრო-საქონლის მატარებელი. გაფუჭებული ქახრაკის გამო მემანქანემ მატარებელი დროზე ვერ შეაჩერა. ორთქლმავალი დაეჯახა პლატფორმას. მსუბუქად დაშავდა მეოთხე კლასის 32 მგზავრი. მოსამსახურეთაგან დაშავდა სამი.

**მოგილევი.** ქალაქი მოცულია ცეცხლით. ქალაქის მიდამოებში უკვე სამას სახლზე მეტი დაიწვა. დაიწვა აგრეთვე ორი ეკლესია. ძლიერი ქარის გამო ცეცხლი მძვინვარებს.

**ოდესა.** ყრუ ქუჩაზე ერთი სახლის სარდაფში აფეთქდა მიწაში ჩაფლული ყუმბარა. აფეთქებამ სახლი ძლიერ დააზიანა. ყუმბარის ნაჭრებით დაიჭრა ორი პატარა ქალი. შეიპყრეს 6 კაცი.

**სმოლენსკი.** იუნხოვის მაზრაში სეტყვამ გაანადგურა 1090 დესეტინა ნათესი. ზარალი 30 000 მან. უდრის.

**ყაზანი.** 5 ივნისს ძლიერმა ქარიშხალმა ქალაქის მცხოვრებლებს დიდი ზარალი მიაყენა. არის ადამიანთა მსხვერპლიც.

**ეკატერინობურგი.** კუნგურის გამგეობამ გადასწყვიტა იშემოდგომოლოს, რომ პერმში პოლიტეხნიკუმი გაიხსნას.

**კიევი.** სენატორ დედიულინის განკარგულებით 36 სახლი გაჩხრიკეს. გაჩხრიკეს ინდენდანტები, სამხედრო ინჟენერები და საქონლის ჩამბარებლები. აღმოაჩინეს მრავალი ბოროტმოქმედება. ამავე დროს ჩხრეკა მოახდინეს უმანსა, ბერდიჩევსა, ლუბნიხსა, კურსკსა, ვორონეჟსა, სევასტოპოლსა, ვილნოსა, პრისკუროვსა, უმერინკასა და ლიუცვში.

**ბელსკი.** ციმბირის ჭირი, რომელმაც ბელოვეჟსკის ახლოს 7,000 შინაური საქონელი დაახარალა, ეხლა გარეულ ცხოველებზე გადავიდა. განსაკუთრებულ თათბირზე ადმინისტრაციის წარმომადგენელმა და ბეითალებმა გადასწყვიტეს მიიღონ ზომები ეპიდემიის მოსასპობლად. პეტერბურგიდან გამოიწვიეს ბეითლები.

**პეტერბურგი.** 63 კაცის საქმის გამო განაჩენის კონფირმაციის დროს 29 კაცს, რომელთაც სიკვდილით დასჯა ქონდათ გადაწყვეტილი, სასჯელი 18 წლით კატორგით შეუცვალეს, ორს ოთხი წლით ტუსაღთა განყოფილება, დანარჩენებს 2—4 წლამდე.

**ლიუბლინი.** ბრონოვიცის ახლოს უცნობებმა პარტიულ ნიადაგზე მოკლეს ქვის მტვრეველი და დურგალი.

**მოგილევი.** ცეცხლის გაჩენის მიზეზი ვერ გამოარკვიეს. სულ ერთიანად გადაიწვა მოსკოვის უბანი. ცეცხლში დაიწვა ერთი ებრაელი ქალი ექვსი პატარა შვილით. დაიწვა აგრეთვე ერთი ქალი და ერთი კაცი. 3000 კაცამდე ღვთის ამარად დარჩა, მათგან ზოგი ყაზარმებში მოათავსეს. სამხედრო მთავრობამ სამი საგზაო სამზარეულო დაუთმო საჭმლის მოსამზადებლად. საქველმოქმედო საზოგადოება ქალაქის ხარჯზე 400 კაცს უფასოდ აძლევს საჭმელს. შემოწირულებათა შესაგროვებლად სდგება კომიტეტი.

**ჩიტა** მოდიდებულმა მდინარემ ჩიტამ წალეკა ქალაქის კუნძულის ნაწილი. მცხოვრებლები ნავებით ახწევენ თავს, არის ადამიანთა მსხვერპლი.

**ჟიტომირი.** რვა სახლის გარდა სულ ერთიანად გადაიწვა დაბა დერენო. 500 ოჯახზე მეტი უსახლკაროდ დარჩა.

**მოგილევი.** გადაიწვა სოფლის სამმართველო წიგნებიანათ. ფულის ყუთი გადაარჩინეს.

**ვოზნესენსკაია.** (ყუბან. ოლქი). სოფელ ხაკურენში პირადის მტრობით ამოწყვიტეს ერთი ოჯახი. მოკლულია ქმარი, ცოლი და ხუთი ბავშვი. უსუსური ბავშვი დედის გულზე შუაზე გადაჭრილი ნახეს.

**პეტერბურგი.** 6 ივნისს დილისით ზაბალკანის ქუჩაზე გრომოვის სახლში გაჩნდა ცეცხლი. ცეცხლმა იმსხვერპლა ერთი; დაშავდა რამდენიმე კაცი.

**ვარშავა.** საჯირითო მოედნიდან უტოჩკინი სამჯერ გაფრინდა. ჰაერში დაჰყო 20 წუთი და 50 მეტრის სიმაღლეზე ავიდა.

**მოგილევი.** მოსკოვის უბანს ცეცხლი ისევ უკიდია. ცეცხლს საღამოს შვიდ საათამდე აქრობდნენ. გადაიწვა 600 ფიცრული სახლი, ქვისა და ხის ეკკლესია, სახალხო სახლი, რამდენიმე სახალხო სასწავლებელი და მრავალი ქარხანა საქონლით. დაიწვა ათი კაცი. ეკკლესიის ქონების მეტი ნაწილი გადაარჩინეს. დიდი ხნის უწვიმობა და ძლიერი ქარი ცეცხლს ხელს უწყობდა. ერთი ვერსის მანძილზე ცეცხლი გადასწვდა სოფელ პოპოვკას და 250 სახლი გადასწვა. ქონების მცირე ნაწილი გადაარჩინეს. მდინარე დნეპრზე ხიდები გადარჩა. ზარალი რამდენიმე ასი ათასი მანეთია.

**პეტერბურგი.** სენატორ გლიშჩინსკის განკარგულებით გაჩხრიკეს ყველანი, ვინც კი რუსეთ-იაპონიის ომის დროს ჯარისთვის საქონლის დამზადება-ჩაბარებასთან ქონდათ კავშირი. წაართვეს დოკუმენტები და წერილები.

**პეტერბურგი.** სენატორ გლიშჩინსკის განკარგულებით გაჩხრიკეს ყოფილი მოხელე დობროვიდოვი.

**პეტერბურგი.** ინგლისის უკანასკნელ წინადადებაზე კრიტეს შესახებ რუსეთის მთავრობამ სრული თანხმობა გამოაცხადა და განაცხადა, რომ იგი მზათ არის კრიტეზე გაგზავნოს კიდევ ერთი დამატებითი გემი. ამასთან ლონდონის, პარიზის და რომის კაბინეთებს განსახილველად წარუდგინა თვისი აზრი კრიტეს შესახებ. პეტერბურგის კაბინეტის აზრით კრიტელები თავის ნებით არ დაემორჩილებიან ოთხ სახელმწიფოს მოთხოვნილებებს. ეხლავე უნდა ვიცოდეთ, რომ ბოლოს მაინცა და მაინც მფარველი სახელმწიფოები იძულებულნი იქმნებიან დიდი ხნის არეულობის შემდეგ ძალით ჩაიგდონ ხელში კუნძულის მართველობაო. რადგან ყველა მთავრობის დაუხმარებლად, რომელთაც ხელი უწერიათ ბერლინის ხელშეკრულობაზე, საქმის გადაწყვეტა შეუძლებელია ახლო მომავალში, რუსეთის მთავრობა საჭიროდ სცნობს, რომ ოთხივე მფარველმა სახელმწიფომ გაგზავნოს კრიტეზე საკმაოდ ძლიერი ჯარი და იქ დროებით მართველობა დააწესოს ოთხივე მთავრობის ხელმძღვანელობით: რაკი ჩხუბის საგანი ისევ ოთხ სახელმწიფოს ხელში იქნება, სრული იმედი გვექნება საერთო მშვიდობიანობისაო.

## ხოლერა

**ვორონეჟი.** სოფელ ტროსტიანკაში 25 მაისიდან 6 ივნისამდე ხოლერის ნიშნებით ავად გახდა 34, გარდაიცვალა 9 კაცი.

**ვოზნესენსკაია.** სოფელ ბეზსკორბნში ხოლერით ავად გახდა 36, გარდაიცვალა 27 კაცი.

**ნოვოჩერკასკი.** ხოლერით ავად გახდა 7, გარდაიცვალა 1 კაცი.

**კრემენჩუგი.** ხოლერით ავად გახდა 45, გარდაიცვალა 14, მორჩა 4 კაცი. ეპიდემიის გაჩენის აქეთ ავად გახდა 80, გარდაიცვალა 25, მორჩა 9 კაცი. მაზრაში გახდა ავად 8, გარდაიცვალა 5 კაცი.

**ალექსანდროვსკი.** ხოლერით ავად გახდა 77, გარდაიცვალა 39, მორჩა 34, ავად არის 64 კაცი.

**ტაგანროგი.** ხოლერით ავად გახდა 11 კაცი.

**დონის-როსტოვი.** ხოლერით ავად გახდა 708, გარდაიცვალა 197 კაცი.

**კურსკი.** ფატეჟს მაზრაში ხოლერით გარდაიცვალა სამი.

**კიევი.** ხოლერით ავად გახდა 39, გარდაიცვალა 16, ავად არის 55 კაცი. გუბერნიაში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 3, ავად არის 7 კაცი.

**პავლოგრადი.** ვიაზოვკაში ხოლერით ავად გახდა 3, ლოზოვზი გარდაიცვალა ერთი კაცი.

**ჩერნიგოვი.** კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 90, გარდაიცვალა 40 კაცი.

**ოდესა.** ეპიდემიის გაჩენის აქეთ ავად გახდა 20, გარდაიცვალა 12 კაცი.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**არჩევნები,** ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თავ. მ. ფალავა, რომელმაც 98 თეთრი და 78 შავი კენჭი მიიღო. გამავებულ იქნა ი. ფანცხავა, რომელმაც მიიღო 93 თეთრი და 83 შავი კენჭი. როგორც გადმოგვცეს, დირექტორად დიდის უმრავლესობით აირჩიეს თვ. დ. მიქელაძე.

**ბეთანიის ტაძრის კურთხევა.** ბეთანიის ძველი ტაძარი ქამთა ვითარებისა გამო დანგრეული კვლავ აღადგინეს, შეაკეთეს, დანგრეული ნაწილები გააშენეს და კვირას, 13 ივნისს, უნდა აკურთხონ. კურთხევას დაესწრებიან ალავერდის ეპისკოპოსი დავითი და არქიმანდრიტი გიორგი. ტაძრის კურთხევაზე დასასწრებლად წამსვლელნი ტფილისიდან შაბათს, 12 ივნისს გავლენ, დილის 5 საათზე, კოჯრის გზით ეტლები იქნება და მსურველს შეუძლიან წავიდეს.

**სახელოსნო სასწავლებელი.** კვირას, 6 ივნისს, ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის უკანასკნელ (IV) კლასის მოსწავლეთა ნამუშევარი შემოწმებულ იქმნა მოწვეულ პირთაგან. დაესწრნენ: ქალაქის თავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, სახალხო სკოლათა ინსპექტორი სმირნოვი, ხელოსანთა მოურავი სეროზიანცი, ხელოსანთა მამასახლისები და სხვ. მოსწავლეთა ნამუშევარი მოწონებულ იქმნა.

**სეირნობა.** ოთხშაბათს, 17 ივნისს, პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის სასარგებლოთ გაიმართება ფრიად ორიგინალური სეირნობა და „სიცილ ხარხარის“ საღამო ბ-ნ ა. ფოცხვერაშვილის და წუწუნავას მონაწილეობით

**ყალბი საბუთებით ფულის გატანის განზრახვა.** ბორჯომიდან გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში რამდენიმე პირს განეზრახა ყალბი საბუთებით 30 ათას მანეთის გატანა. ყალბი საბუთები შეამჩნიეს და ბოროტ-გამზრახველნი იქვე შეიპყრეს.

**შანტაჟი.** 1908 წ. 20 მარტს ვიღაც უცნობი მისულა ქუთაისის მაზრის ვაჭრის ვასილ ჩაჩიბაიას სახელით ჩაის სავაჭრო ფირმის „კარავან“-ის გამგე ქრისტეფორე ფერმანთან და სამი ყალბი ვექსილით 521 მან. 88 კაპ. ჩაი წაუღია. როდესაც ფერმანს სიყალბე გაუგია, მაშინ ტფ. მაძებარ პოლიციის უფროსისათვის შეუტყობინებია. ახლა გამოურკვევიათ, რომ უცნობი ყოფილა ქუთაისის გუბერნიის აზნაური კონსტანტინე სოფრონისძე ჰუბაბრია, რომელიც ამ წლის 20 მარტს შეპყრობილ იქმნა ყალბი ათ-თუმნიანებისა და სამ-მანეთიანების მომზადებისათვის. ჰუბაბრია ეხლა ტფ. სადუბერნიო ციხეში ზის. მისი საქმე გამომძიებელს გადაეცა.

**სახივარი 3 კაპიკზე.** როგორც მკითხველთ უწყიან, ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწე ბ-ნი ქანანოვი ტრამვაის საზოგ-

დოებას 3 კაპიკს უჩიოდა, რომელიც, მისი სიტყვით, მისთვის ტრამვაის კონდუქტორს უკანონოდ გადაუხდევინებია. გუშინ ტფ. მესამე მომრიგებელ სასამართლოს მოსამართლემ ქანანოვის საჩივარი არ დააკმაყოფილა.

✦ **ცეცხლი**. ლანჩხუთიდან გვატყობინებენ, რომ 7 ივნისს, ღამე უეცრად ცეცხლი გაუჩნდა ადგილობრივ მომრიგებელ სასამართლოს შენობას. რადგან ცეცხლის ჩასაქრობი საშუალება არ მოიპოვებოდა და ღამე გადასული იყო, ცეცხლი მალე გაძლიერდა და დილამდის სულ გაანადგურა მთელი შენობა. დაიწვა სასამართლოს საქმეები. ფიქრობენ, რომ ცეცხლი განზრახ არის წაკიდებული.

✦ **ექსარხოსის გამგზავრება**. 7 ივნისს საქართველოს ექსარხოსი სოხუმში გაემგზავრა საზაფხულოდ.

✦ **სახადი**. სამოვოლნი ქუჩაზე, ციცამის სახლში ავად გახდნენ სახლის პატრონის ცოლი ეკატერინე ციცამი და ქალიშვილი ბარბარე. ავადმყოფნი ნავთლუღის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ **დაპატიმრება**. 7 ივნისს ტფილისში შეიპყრეს და მეტეხის ციხეში გაგზავნეს რკინის გზის მოსამსახურე თედო დოლიძე.

✦ **კალია**. შირაქის ნაწილში კალიასთან ბრძოლა ნაყოფიერად სწარმოებს: კალია მოისპო. ბაკურციხის ნაწილში განაგრძობენ კალიასთან ბრძოლას და იმედია მოკლე ხანში მოსპობენ. მომავალი წლიდან კალიას ასაცილებლად სიღნაღის მაზრის უფროსმა ბრძანება გასცა, რომ ნათესის აღების შემდეგ ცეცხლი გაუჩინონ მინდვრებს.

✦ **სასამართლოში**. გუშინ, 8 ივნისს, ტფილ. სასამართლო პალატაში წოდებათა წარმომადგენელების მონაწილეობით გაირჩა საქმე აწ დახურულ ქართულ გაზეთის „ჩანგი"ს რედაქტორის თავ. ლევან დადეშქელიანისა, რომელსაც ბრალს სდებდნენ სასჯელთა დებულების მე-129 მუხლის ძალით. სასამართლომ. ბრალდებულს ერთის თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

✦ **სამეცნიერო ექსკურსია** კავკასიის დასათვალიერებლად ამ ზაფხულს ჩამოვა გერმანელ ბოტანიკთა და ზოოლოგთა ჯგუფი.

✦ **ნამესტნიკის წასვლა**. კავკასიის ნამესტნიკი გრ. ვორონცოვ-დაშკოვი 20 ივნისამდე მცხეთაში დარჩება, ხოლო შემდეგ რუსეთში გაემგზავრება თავის მამულში, ტამბოვის გუბერნიაში.

✦ **სანატორია**. ბაქოს ქალაქის გამგეობამ გადასდო 23 ათასი მანეთი აბასთუმანში სანატორიის დასაარსებლად. ფული გადაეცა ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებას. ამ საზოგადოებას ხელთ აქვს ეხლა 45 ათასი მანეთი.

✦ **ახალი გაზეთი**. ტფილისში გამოვიდა ახალი გაზეთი: „ტფილისის ტელეფონი" გაზეთს სცემს ქ-ნი ე. ა. ორლოვსკაია.

✦ **ქალაქის საბჭო** ხვალ, 10 ივნისს, ქალაქის საბჭოს კრება მოხდება. კრებას რამდენიმე საყურადღებო საქმე აქვს განსახილველი.

✦ **მათხოვრების შეპყრობა**. 6 ივნისს პოლიციამ ქალაქის მერვე უბანში მათხოვრები შეიპყრო. შეპყრობილთ თავიანთ სიმშობლოში ასახლებენ.

✦ 4 ივნისს ქალაქის სხვა და სხვა უბანში პოლიციამ 16-დე უპასპორტო შეიპყრო, ხოლო 6 ივნისს 34 უპასპორტო.

✦ 5 ივნისს ტფ. მოქალაქე თევდორე ზეიცმა ფეირვერკის ქუჩაზე ერთი კვირის ბავშვი იპოვა. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

✦ კავკ. რკინის გზის უფროსი განკარგულებით ექვსი ივნისიდან ბაქოს და ტფილისს შორის ივლის მეოთხე კლასის სამგზავრო ვაგონები.

✦ ტფ. ობსერვატორიის გამოკვლევით, მაისში ქალაქში ყოფილ ცხრამეტი ავდრიანი დღე—აქედან 17 წვიმიანი, 2 სეტყვიანი და 4 ქარიშხლიანი დღე.

---

**შეცდომის გასწორება**. „სახალხო გაზეთის (24) ნომ. ფელეტონში (ქართველის წერილი იერუსალიმიდან) სამწუხაროდ აზრის დამახინჯებელი შეცდომა შეგვეპარა: მეხუთე სვეტი მეორე აბზაცის დასაწყისში სწერია: ქართველ ფრანგის ბერმა, უნდა იყოს ქართველ კათოლიკეს ბერმა და სხ. სხვაგანაც სიტყვით ფრანგის ადგილას კათოლიკე უნდა იყოს.

---

კვირის ნომერში „პატარა შენიშვნებში" შემდეგი შეცდომებია: პირველ სვეტში სწერია: სიზმრათ უნდა იყოს: სიზმრათ, ვინმე მსუსხავი, უნდა იყოს ვინმე მემარცხენე; მეორე სვეტში სწერია: გარყვნილ ქუჩებში უნდა იყოს: გაყინულ ქუჩებში, გაჩერებულის ტემპით უნდა იყოს: გაზქარებულის ტემპით, მესამე სვეტში „ავადმყოფს დიდი მნიშვნელობა აქვს „შემდეგ გამოტოვებულია სიტყვა: დიაგნოზს.

## პატარა შენიშვნები

3.

ძლიერ საინტერესოა რუსეთის ქართველ სტუდენტობას საზღვარ-გარეთელი სტუდენტობა შევადაროთ. ჩვენს წარმოდგენაში უკვე არსებობს ევროპიელი, განსაკუთრებით გერმანელი სტუდენტის ტიპი, რომელიც სულ ქეიფში, თამაშობაში, სპორტში და დუელებში ატარებს დროს, მაგრამ ეს ტიპი სრულიადაც არ ახასიათებს მთელს უცხოელ სტუდენტობას: მახვილ-კალმიან მწერლებს ის მხოლოდ ეგრედ წოდებული „კორპორაციების" ცხოვრებიდან აუღიათ, კორპორანტები კი აკადემიური ახალგაზდობის უმცირეს ნაწილს შეადგენენ. უმრავლესობა თავისუფალი სტუდენტობაა, რომელიც ხშირად პრინციპიალურად ეწინააღმდეგება როგორც დუელებს, ისე „ლუდის სალამოებს". მეორე მხრივ კორპორანტი სტუდენტიც მხოლოდ პირველ ორ-სამ სემესტრში ანდომებს მთელს დროს თავ-დავიწყებულ ქეიფს. მართალია სპორტსა, ფიზიკურ ვარჯიშობას და თამაშობას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოელი აკადემიკოსისათვის, მაგრამ ის თითქმის არასოდეს არ იქცევა მისი ცხოვრების მთელ შინაარსად.

ვიმსჯელოთ მიუკერძოებლად რუსეთის სტუდენტობაზე, დავივიწყოთ ერთი წამით მისი რევოლუციონური ტრადიციები და გავითვალისწინოთ ის, რომ 10% ძლივს ესწრობა ლექციებს (ქართველებში უფრო ნაკლები), რომ საეგზამენოთ იშვიათი სტუდენტი ემზადება ორიგინალებით (ემზადებიან მოკლე კონსპექტებით), რომ ჩვენი სტუდენტობა საერთო განვითარებას სრულიად ყურადღებას არ აქცევს და გაზეთშიაც მხოლოდ ქრონიკას კითხულობს, მაშინ დავრწმუნდებით, რომ რუსეთის სტუდენტობა ჩამორჩება საზღვარ-გარეთელს. რამდენია ისეთი სტუდენტი, რომელსაც ერთი სერიოზული მოზდილი წიგნი არ წაუკითხავს! ჩვენს სტუდენტობაში თუ სადმე შეხვდებით ასე თუ ისე განვითარებულ ყმაწვილს, შეგიძლიათ აპრიორულად დაასკვნათ, რომ იგი უცხო ტომის სტუდენტებთან უფრო ყოფილა დაახლოვებული, ვიდრე ქართველებთან. თვალი რომ გადავავლოთ ჩვენს მცირე-რიცხოვან ევროპიელს სტუდენტობას, ნათლად დაინახავთ, რომ იგი შედარებით მეტს იძლევა განათლებულს და საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრს, ვიდრე რუსეთი, რაშიაც იმედი მაქვს ჩამოუთვლელად დამერწმუნება მკითხველი. ეგ ადვილი ასახსნელიცაა. საზღვარგარედ უმეტესად მართლადაც ცოდნის მოყვარე პირნი მიიწევენ, თორემ რუსეთში ნასწავლ ახალგაზდისთვის ხომ უფრო ადვილი საშოვნელია თბილი ადგილი და კაკარდიანი ქუდიც. კიდევაც საზღვარგარეთელ ქართველებს მეტი ცოდნა აქვთ, ვიდრე რუსეთელებს: გადაიკითხეთ უკანასკნელი ხუთი-ექვსი წლის მწერლობა და მოიგონეთ ახალგაზდა პუბლიცისტები, რომელთა წერილები ყოველმხრივი ინტერესით იკითხებიან.

ჩვენში ამ საკითხის თაობაზე ერთი ახირებული, პრაქტიკულ ინტერესებით ნაკარნახები აზრი არსებობს და ეგ აზრი განსვენებულ მელიქიშვილის სასაცილო სიტყვებზეა აშენებული. როდესაც სტიპენდიებს ანაწილებდნენ, საზღვარ-გარეთელ სტიპენდიანტებზე მელიქიშვილს თითქო ეთქვას: უსამართლო იქნება რუსების ფულებით მათვე საზღვარ-გარეთ რევოლუციონერები გამოვუზარდოთო... ერთი ასეთ „ხელისხელ საგოგმანებელ აზრებს" ჩვენი საზოგადოება სამწუხაროდ დიდის ყურადღებით კრეფს და ითვისებს. ეხლა კი დროა კურსი გამოვცვალოთ. ქართველი ახალგაზდობა უნდა ევროპაში გაიფანტოს და არა რუსეთში: ყვავს რა აქვს, კაჭკაჭს რა მისცეს.

მესამე წელიწადია პეტერბურგის უნივერსიტეტში არსებობს ქართული სამეცნიერო წრე; ის მუშაობასაც შეუდგა, მაგრამ ჩვენმა სტუდენტობამ იმდენი ინტერესი ვერ გამოიჩინა, რომ აღწერის ფურცლები, რომელიც ყველა ქალაქებში დაიგზავნა უკანვე დაებრუნებინათ პასუხებით. ნუ თუ ძნელი იყო აღწერის მნიშვნელობის გათვალისწინება?! წრეულს პეტერბურგშივე ჩაისახა „პროგრესიულ სტუდენტთა ნაციონალურ ორგანიზაციათა ფედერაცია", რომელსაც მიზნად აქვს ხელი შეუწყოს სხვა და სხვა ტომის სტუდენტთა ურთიერთობას და მათი ისტორიისა და კულტურის გაცნობას. ქართულ სტუდენტობაშიაც ასეთი მისწრაფება უკვე ხორც-შესხმულია... საზღვარ გარეთელი სტუდენტობაც კავშირდება, ასე რომ კულტურულ-განმანათლებელ ნიადაგზე უნდა შეიკრიბოს პროგრესიული სტუდენტობა. ჩვენი სტუდენტობაც რაღაცნაირად მოქანცულია, მას აპატიის ბეჭედი აზის და ამიტომაც უნდა ყოველნაირად ვეცადოთ ასეთი მდგომარეობა შეიცვალოს და ცოცხალი სული დაიბადოს. **ბოსრჩელი**.

## ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება

კრება გაიხსნა $12\frac{1}{2}$ საათზე. თავჯდომარეობდა გუბერნიის თავ.-აზნ. წინამძღოლი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი, რომელმაც კრების გახსნისთანავე განაცხადა:—წინა კვირას კრება გადავდეთ იმის გამო, რომ კარგად გავცნობოდით ანგარიშს და ხარჯთ-აღრიცხვას. სანამდის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შევუდგებოდეთ, კომისიებთან გავათაოთ საქმეო.

გ. დიასამიძემ სთქვა, კომისიებზე შემდეგ ვიქონიოდ მსჯელობა, ეხლა პირდაპირ ანგარიში და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა განვიხილოთო. გ. ყაზბეგმაც მხარი დაუჭირა წინა ორატორს და მოითხოვა ანგარიშის განხილვა. კრება შეუდგა ანგარიშის განხილვას. ალ. დიასამიძე შეეკითხა—ანგარიშში მოხსენებულია, რომ მამულების მოურავის ხელში არის 15 ათას მანეთზე მეტი. რა საჭიროება თხოულობს რომ ამდენი ფულია ერთი კაცის ხელშია.

თავჯდომარემ პასუხი გასცა ორატორს და სთქვა, რომ დეპუტატთა საკრებულოს დადგენილებით 1.000 მან. მეტი არ უნდა იყვეს გამგის ხელში. ინსტრუქცია არა გვაქვს შემუშავებული, ამ ჟამად რეორგანიზაცია ხდება მამულების გამგეობის საქმეში. წინად გამგეობა კოლეგიალური იყო, ეხლა განაგებს ორი პირი.

გრ. დიასამიძე. მამულების გამგეობის რეორგანიზაციის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს. წინად კოლეგიალური გამგეობა იყო, ეხლა ერთი კაცი განაგებს, რად შევცვალეთ ეს წესი, ინსტრუქციის შემუშავებისა და კრების მიერ დამტკიცებამდის.

**მ. ჭავჭავაძე**. ორატორები ეხებიან მეათე მუხლს. წესრიგისათვის უმჯობესია პირველ მუხლიდანვე შევუდგეთ განხილვას. ეგები ვისმე სურს ილაპარაკოს ამ მუხლების შესახებ.

**ვლ. ვაჩნაძე** (მამულების მოურავი). ფულები გროვდება ჩემს ხელში წელიწადში ორჯელ—ივნისში და დეკემბერში, როდესაც ბანკში სარგებლის შეტანის ვადა მოდის ხოლმე. ათას მანეთზე მეტი არასაჭირო, რომ ჩემს ხელში იყოს. თუ მეტი იქნება საჭირო, შეიძლება მივმართოთ წინამძღოლს და გამოვითხოვო.

**ალ. დიასამიძე**. დაკმაყოფილებული ვარ მამულების მოურავის განმარტებით. ჩვენ საქმის სარგებლობა გვაინტერესებს, გვინდა, რომ თავად-აზნაურობას რაც შეიძლება მეტი შემოსავალი ჰქონდეს და ნურავინ იწყენს ჩვენს ლაპარაკს, თავის თავზე ნუ მიიღებს, რადგან ჩვენ ვხელმძღვანელობთ საზოგადო სარგებლიანობის თვალსაზრისით.

**თავმჯდომარე**. განვიხილოთ ანგარიში მუხლობრივ.

კრებამ უკამათოდ დაამტკიცა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 3 მუხლები.

**გრ. დიასამიძე**. თავ. ჯამბაკურ-ორბელიანის ძეგლის ფონდი ერთსა და იმავ მდგომარეობაშია. თუ ძეგლის აგება არ შეგვიძლიან, სხვა სასარგებლო საქმეს მოვახმაროდ ეს ფონდიო.

**თავმჯდომარე**. განსაზღვრული დრო იყო ძეგლისათვის ფულის შესაგროვებლად. შემდეგ შეჩერდა გუბერნატორის მოწერილობით. რაც შეგროვდა, კასაში არის შეტანილი და სარგებლობს. ყოველ წლივ ზედ ემატება სარგებელი. ვთხოვ კრებას უმნიშვნელო საკითხებზე ნუ შეჩერდება. განსახილველია უფრო მნიშვნელოვანი საკითხები.

ალ. დიასამიძე შეეხო თავ. აზნაურთა ქარვასლის შემოსავალს, მოიყვანა ციფრები იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ათი წლის წინად შემოსავალი მეტი იყო. —ავიდა 78 ათასამდე, ეხლა კი შემოსავალი კლებულობს და სამაგიეროდ გასავალი მატულობსო. რა არის ამის მიზეზი?

მამულების მოურავმა თავ. ვაჩნაძემ პასუხი გასცა დიასამიძეს, მოიყვანა ციფრები შემოსავალ გასავლისა, რომლებიც არაფრით არ წააგავდა იმ ციფრებს, რომლებიც ალ. დიასამიძემ მოიყვანა. ამ ციფრების მიხედვით შემოსავალი თითქმის ერთ დონეზეა. ხარჯი 1905 და 1906 მეტი იყო შედარებით.

თავმჯდომარემ წინადადება მისცა ჯერ შემოსავალი განეხილათ და შემდეგ გასავალი. მამულების მოურავმა განაცხადა, რომ გასავალი ეხლა მეტი გვეჩვენება, რადგან წინად გამგეობა უსასყიდლოდ მუშაობდა, ეხლა კი გამგე ფულს იღებსო.

**თავმჯდომარე**. შეუძლებელია ასეთი განსხვავება იყვეს ციფრებში. მოურავის მოხსენებული ციფრები არსებითად განსხვავდებიან თავ. ალ. დიასამიძეს მიერ მოყვანილ ციფრებიდან. ქარვასლა ეხლა მეტს შემოსავალ იძლევა—გაქირავებულია ყველა მაღაზიები, გარდა ერთი თვალისა.

მ. მაჩაბელი. ციფრები ერთხელ და სამუდამოთ უნდა გამოვარკვიოთ. შეიძლებოდა კამათი ციფრების შესახებ.

გ. რცხილაძე რომ კამათი არ გაჭიანურდეს დავგისახლიონ, რომელ წელიწადში რამდენი იყო წმინდა შემოსავალი. აქ ყველას ის აინტერესება, თუ საზოგადო თანხის სასარგებლოდ რამდენი კაპეიკი იქნა გადადებული.

კრება შემდეგი მუხლის განხილვას შეუდგა. ანგარიშით მაზრის თავად-აზნაურთ სესხი აქვთ წაღებული. თავმჯდომარეს შეეკითხენ, რა მდგომარეობაშია ეს საქმე, დაბრუნდება ფული თუ არაო.

თუმანიშვილი. (გორის მაზრის წინამძღოლი) 14.406 მანეთი გორის საურთიერთო ნდობის ბანკშია. რომელიც ამ ფულით სულს ითქვამს. თუ ერთ წელიწადს კიდევ დარჩა ეს ფული ბანკში, სხვა ბანკები სესხს მოგვცემენ, და შემდეგ შეგვეძლება ფულის დაბრუნებაო.

გ. რცხილაძე. 6.044 მან. სიღნაღის მაზრის თავ. აზნაურობამ მიიღო და ქართვ. საქველმოქმედო საზოგადოებას გადასცა გადამწვარ გურულებისათვის დასახმარებლად.

თავჯდომარე. ფულები უკლებლივ დაგვიბრუნდება, რადგან ყველას სესხად ჰქონდა მიცემულიო. გორის სინდიკატსაც ჰმართებს ფული. ამ სინდიკატის საქმე ხან კარგად იყო ხან ცუდად, ეხლა სესხად 10.000 მანეთი მივეცით· საქმე გამოკეთდა. იმედია ნაწილ-ნაწილად დაგვიბრუნდება ფულიო.

**მ. მაჩაბელი**. თავად-აზნაურობას ნასესხები აქვს 19 ათასი მანეთი სადგილ-მამულო თანხიდან და ყოველ წლივ ეს რიცხვი ანგარიშებში შედის, აგვიხსენით, გაანადგებენ ამ ფულს თუ არა. სადგილ-მამულო კომისია ხელმოკლეა, სალარი არა აქვს, რომ დაკისრებული მოვალეობა შეასრულოს. ეგები თავად-აზნაურობამ დაგვიბრუნოს ეს სესხი იმ თანხიდან, რომელიც ამ ჟამად მოიპოვება.

ამ საკითხზე კამათი მოიხსნა.

შემდეგ კრება შეუდგა ელექტრონის სადგურის შემოსავალ-გასავლის განხილვას.

სადგურის გამგემ ინჟ. მამრაძემ მოახსენა კრებას საქმის მდგომარეობა. ვრცელი მოხსენება წაკითხულ იქნება შემდეგ, სხვა მოხსენებებთან ერთად. კრებამ დაამტკიცა ანგარიში უცვლელად. სხდომა გადაიდო 7 ივნისისათვის.

მესამე სხდომა გაიხსნა თავ. ბაგრატიონ დავითაშვილის თავმჯდომარეობით. მდივანმა ი. ზურაბიშვილმა წაიკითხა წინანდელ კრების დადგენილება.

**ა. ფურცელაძემ** წინადადება მისცა კრებას, ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამდე მოვისმინოთ სადგილ-მამულო კომისიის მოხსენება.

გ. დიასამიძემ განაცხადა, რომ ბანკის ანგარიში სულ ორი საათის განმავლობაში იქნა განხილული და დამტკიცებული. აქ კი ეს ორი კვირაა ვკამათობთ. მიზეზი ის არის, რომ ანგარიში გაუგებრადაა შედგენილი, არა აქვს საჭირო განმარტებანი. უნდა დავავალოთ ჩვენს ამორჩეველთ მომავლისათვის წარმადგინონ ხოლმე საჭირო განმარტებანი და მოხსენებანი.

თავმჯდომარემ პასუხი გასცა, ჩვენ გუშინ შევუდექით ანგარიშის განხილვას, კამათი გაგრძელდა, რადგან ზოგიერთ ორატორმა შემოსავალი 78 ათასი მანეთი დაასახელა, ნამდვილად ამდენი არ ყოფილა არას დროსაო.

ა. დიასამიძე. თავმჯდომარეს შენიშნა, რომ ის ეკამათება ორატორებს; ასე შეუძლებელია კრების ხელმძღვანელობაო.

მცირე კამათის შემდეგ შეუდგნენ აღრიცხვის განხილვას. მოისმინეს მალე მოხსენება ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ წაიკითხეს მოხსენება სადგილმამულო კომისიისა და ელექტრონის სადგურის შესახებ. ამის შემდეგ კრება შესწყდა შემდეგი სხდომა დაინიშნა 8 ივნისისათვის.

## ქუთ. სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

**2 ივნისს**.

სანკარიშო კრების უმეტესი დრო კვლავ თ-დ ფალავას წინადადებას მოუნდა. არსებითად განსახილველ საგნის შესახებ ახალი არავის უთქვამს.

კარგა ხნის კამათის შემდეგ თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა და განსხვების შემდეგ განაცხადა, რომ თ-დ ფალავას მიერ აძრულ წინადადების შესახებ კრებას არ შეუძლია დამადასტურებელი გადაწყვეტილება გამოიტანოს და ამიტომ ამ საგანზე ლაპარაკს ვსპობო.

შემდეგ კრება თავმჯდომარის წინადადებით გადავიდა ზედამხედველ კომიტეტის წარსულ წლის ანგარიშის განხილვაზე.

ბანკის გამგეობას ზარალში ჩაუწერია საეჭვო მევალეების ვადასახადი 1658 მან. 47 კ. ზედამხედველი კომიტეტი კი მოწმობს, რომ საეჭვო მევალეთა შორის არიან ისეთნი, რომელნიც ადვილად გადაიხდიდნენ სესხსაო.

კრება ეთანხმება კომიტეტს და ავალებს გამგეობას, რომ მან საიმედო მოვალეებს ფული გადაახდევინოს.

გარდა ამისა, ზედამხედველი კომიტეტი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ დარჩენილ მამულებს საერთო და ქალაქის გადასახადი აწევს და წარსულ წლის განმავლობაში მარტო ტფილისის მამულებზე 16,402 მ. გადაუხდია. ამის გამო კომიტეტი აცხადებს სურვილს, რომ ამგვარი გადასახადი გამგეობამ ყოველ წლის თავზე ცნობაში მოიყვანოს იმ ხარჯთან ერთად, რომელიც ბანკზე დარჩენილ მამულების რემონტს მოუნდება.

ხანგრძლივ კამათს იწვევს ზედამხედველ კომიტეტის შენიშვნა ბათუმის სააგენტოს შესახებ. კომიტეტის წევრები ამტკიცებენ, რომ შარშანდელი კრების დადგენილების მიუხედავად, დამოკიდებულება ბათუმის აგენტისა და გამგეობის შორის გამოურკვეველია და ამ აზრს სხვათა შორის იმით ასაბუთებენ, რომ აგენტის აზრით, მას მეტი ერგება, ვიდრე გამგეობა აძლევს. სხვათა შორის კამათის დროს გამოირკვა, რომ ბათუმის აგენტს იჯაურ მამულების შემოსავლიდან არ გამოუგზავნია რამოდენიმე ფული, რომელსაც თავის საკუთრებათ სთვლისო.

კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ ბანკის გამგეობამ ეს საქმე მოაწესრიგოს.

სხდომა 3 ივნისისათვის გადაიდო.

**კრება 3 ივნისს**.

წინა კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ სიტყვას თხოულობს ბანკის უფროსი წევრი თ-დი ნ. დ. ერისთავი. გამგეობის მოხსენებას, რომ დავუჯეროთ, წარსული წლის მოგების სიმცირე ერთი მხრით იმით უნდა ახსნას, რომ გირავნობის ფურცლების კურსი გაუმჯობესდა, ხოლო მეორე მხრით მსესხებლების შირაანობით. სხვა ბანკი ასეთს მოვლენას ბედნიერებათ ჩასთვლიდა, ჩვენი გამგეობისათვის კი, ის საზარალოდ გადაქცეულა; ეს შეცდომაა—ზარალის მიზეზი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ 9 მილიონი სესხიდან, ბანკს დაგირავებული მამულების მეოთხედი დარჩენია.

გამგეობის თავმჯდომარე **ერემეევი**: ჩვენ უარს არა ვყოფთ, რომ ბანკზე დარჩენილი მამულები ზარალს იწვევენ, რაც შეეხება გირავნობის ფურცლების კურსის გაუმჯობესობის გავლენას მოგებაზე, ეს ადვილი გასაგებია. სტერლინგთ, როცა კურსი დაბალი იყო, იაფად ვყიდულობდით გირავნ. ფურცლებს და ამ ოპერაციას საკმაო მოგება რჩებოდა. ეხლა კურსის აწევის გამო ეს ველარ მოხერხდა. მსესხებლების შირაანობა კარგი საქმეა, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენის რაოდენობა მცირდება და ამ მხრით იმოქმედა ამ გარემოებამ.

**თავადი ნ. ერისთავი**: როცა ტფილისის მამულს ვგირავებდით, მათ დაფასებას მთელი კომისია ესწრობოდა (ხშირად გამგეობაც) და მიუხედავათ ამისა დიდ ძალი მამულები დაგვრჩა ტფილისში. ეხლა-კი გვეუბნებიან, რომ დამფასებლის პასუხისგება გავაფართოვოთო. მე ამის თანახმა არა ვარ, ისა სჯობია მეტი ხარჯი გავწიოთ დაფასებაზე, ვიდრე საეჭვო მამულები მივიღოთ გირავთ.

**თ—დი ნ. თავდგირიძე**. სესხის გაცემა შავი ზღვისპირის დაბა და ქალაქებში სასურველია, რადგან ეს ადგილები დღითი დღე წინ მიდიან, ფასი ემატება და ჩვენი ბანკი სესხის გაცემით არაფერს იზარალებს. სასურველია აგრეთვე, რომ ჩვენი ბანკის ოპერაცია ჩერნომორიის გუბერნიაზე გავრცელდეს.

**ი. კ. ერემეევი**. ჩერნომორის გუბერნიაში ჩვენ სესხის გაცემის ნებას არ მოგვცემენ, რადგან იქ უკვე მოქმედებს ორი იპოტეკური ბანკი, ხოლო ჩვენს მოხსენებაში აღნიშნული ადგილებში სესხის გაცემა სასურველია ოპერაციების გასაფართოებლად.

გამგეობის წინადადებას კრება იღებს იმ პირობით, რომ საქალაქო სესხი ჭიათურაშიაც გაიცეს.

როცა დებეტორების სიაზე ჩამოვარდა ლაპარაკი და გამგეობამ მევალეთა სია წაიკითხა აღმოჩნდა, რომ ტფილისის მამულები უფიდ გამგეს ა. გ. ერისთავს ბანკის 3061 მანეთი დასდებია. გამოირკვა ისიც, რომ გამგეობას უჩივლია ერისთავისთვის, მაგრამ უკანასკნელისთვის ძლივს ჩაუბარებიათ უწყება.

ბანკის იურისკონსულტი **ა. ჩხეიძე**. სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლები უკვე ჩავაბარე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბ-ნ ა. ერისთავს არ აქვს არც მოძრავი და არც უძრავი ქონება და ამიტომ ფული ვერ გადავახდევინეთ.

**კიტა აბაშიძე**. ჩაბარება არ მესმის რად გასჭირდა, როცა ბ-ნი ერისთავი ხშირადაა ქუთაისში, გამგეობა მოვალეა სამართალში მისცეს ის ფულის გაფლანგვისათვის. ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ იმ ნაირი კაცი, როგორიც ბ-ნი ერისთავია, რწმუნებულად არის არჩეული თავად-

აზნაურობის მხრით. ნუ თუ ვისმეს ჰგონია, რომ ამ ნაირი კაცი შეირისფლობას გაუწევს ბანკს?!

**თ—დი დ. ნიჟარაძე.** თუ მართლა ერისთავმა დანაშაული ჩაიდინა ჩვენ მოვალენი ვართ არაფერს მოვერიდოთ და სასტიკათ დავსაჯოთ იგი; შეუძლებელია ის იმ დაწესებულების რწმუნებულთა შორის ირიცხებოდეს, რომელიც წმინდა საქმეს ემსახურება. ამას გარდა ირკვევა კიდევ, რომ მევალეთი რიცხვში ითვლებიან მოსამსახურენი და კერძო პირები და კრება ავალებს გამგეობას, რომ სასტიკი ზომები მიიღოს მათი ვალების ასადებად.

**თ—დი ნ. ერისთავი.** გამგეობას გაუცია 1440 მანეთი ორი მოსამსახურისთვის, რომელთაც სამსახურისთვის თავი დაუნებიათ. რა უფლებით გაიღო ეს ფული გამგეობამ?

**ი. კ. ერემეევი.** ასეთი ფულის გაცემას ნებას ჩვენ წესდება გვაძლევს; ესეც არ უთვიდიუთ, ჩვენ კრების მოწვევა არ შეგვეძლო.

**თ—დი ნ. ერისთავი.** წესდებას მხოლოდ ერთი გზა აქვს ფულის გაცემისა—ხარჯთ-აღრიცხვაში აღნიშნავს

**ი. კ. ერემეევი.** წესდებას ფურცლავს და აცხადებს, რომ იგი შეცდა—ხარჯ-აღრიცხვის დამოუკიდებლად ფულის გაცემის ნება ჩვენ არ გვაქს და თავს დამნაშავეთ ვთვლით ამ შემთხვევაში.

**ვარ. ჭილაძე.** ფულის გაცემის უფლება გამგეობა არა აქვს და დავავალოთ გამგეობას, რომ კვლავ აღარ განიმეორის ასეთი რამ. კრება ეთანხმება ბ-ნ ჭილაძეს.

თ—დი ნ. ერისთავი. ბანკს 1044 მ. 74 კ. ზარალი უნახავს გირავნობის ფურცლების განაღდებაში, უთუოთ იმიტომ, რომ ისინი მსესხებლებისგან მიღების შემდეგ გაუნაღდებია, ასეთი წესი ბანკის ოპერაციების მსვლელობისა შეუწყნარებელია და გამგეობა უნდა ერიდოს მას.

გამგეობა აღიარებს თავის დანაშაულს.

ვას. წერეთელი. საანგარიშო წლის განმავლობაში ზედამხედველ კომიტეტს ერთხელ გაუკეთებია კასის რევიზია და როგორც ხშები დადის, კასაში ნაღდ ფულთან ერთად აღმოჩენილა მოსამსახურეების და სხვა პირების კვიტანციები, რომელთაც უკანონოთ გაუტანიათ კასიდგან ფული.

ი. ს. ფანცხავა ჩვენ გამგეობას დეკემბერში ვთხოვეთ მოეწესრიგებინა ეს საქმე. მაისში გავაკეთეთ კასის რევიზია, ჩვენ ვერაფერი ცვლილება ვნახეთ, ამიტომ განმეორებით დავავალეთ გამგეობას, რომ ივნისის პირველიდან დეკემბრამდის ეს საქმე მოაწესრიგოს, წინაღმდეგ შემთხვევაში კასირს გადახდევინოს უკანონოთ გატანილი ფული.

სულ უთვიდა გატანილი ამ წესით 1600 მანეთი.

კრება ერთ ხმათ ეთანხმება ზედამხედველ კომიტეტს. რომ გამგეობამ ზომები უნდა მიიღოს ამ საქმის მოსაწესრიგებლათ.

ბარ. მოსეშვილი. რაც—იყო აღნიშნული, აშკარად მოწმობს იმას, რომ ჩვენი დაწესებულების გამგენი შესაფერი ყურადღებით და ერთგულებით არ მოქმედებენ. მართო ის რომ გავითვალისწინოთ, რომ მეოთხედი ჩვენგან გაცემული სესხისა, ჩვენვე შეგვრჩა და დიდ ტვირთად გვაწევს, ესეც საკმარისია, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მოვეპყრათ ჩვენს მდგომარეობას, რა მხარესაც შეეხებით ჩვენ გამგეთა მოღვაწეობისას, ყველგან დაუდევრობას, საქმის უცოდინარობას წააწყდებით. თვით მოსამსახურენი აკირავებენ საკუთარს და თავის მახლობლების მამულებს და მერე ბანკს უტოვებენ. ამისთანა პირობებში დიდი თავიანობა გვმართებს ჩვენც და რწმუნებულებს. ბანკს პატრონობა ესაჭიროება...

თ-დი ბონდო მიქელაძე (ცხარედ). მგ ლაპარაკი ანგარიშს არ ეხება... თქვენ აგიტაციას ეწევით.

ხმაურობა, ლაპარაკში არაფერი ისმის.

კ. აბაშიძე. თ-დ მიქელაძეს არ შეშვენის, როგორც ბანკში მოსამსახურეს, ასეთი მოქმედება...

თ-დი მიქელაძე კვლავ შეეკამათება თ-დ აბაშიძეს და ხმაურობაში არაფერი ისმის.

კ. აბაშიძე. 20 წელიწადი ვიბრძვით ამ საქმისათვის, ჩვენ გვინდოდა და გვინდა მისი გაძლიერება, რომ ისეთ მკვიდრი საფუძველი მიეცეს ჩვენ საერთო საქმეებს, როგორც ტფილის შია; ბანკის წყალობით ტფილისის თავად-აზნაურობა უმდიდრესია მთელს რუსეთში. იქაც არის ბანკზე დარჩენილი მამულები 2 მილიონისა, მაგრამ იქ 40 მილიონის სესხია გაცემული და ჩვენ კი ამის მეოთხედიც არა გვაქვს. მუშტი და კრივის ხანა წავიდა. ეხლა, როდესაც დაწესებულება ისევ ჩვენვე ჩაგვბარდა და მთავრობამ ბანკს აპეკა მოხსნა, დიდი წინდახედულება და საქმიანობა გვმართებს, რომ მოვაწესრიგოთ ბანკის საქმეები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ პირთ, რომელთაც ბანკს სათავეში ჩავუყენებთ—ესენი გამსჭვალულნი უნდა იყვნენ საზოგადოებრივი ინტერესით, რომ საიმედო გზაზე დააყენონ ჩვენი დაწესებულება.

თ-დი ნიჟარაძე. ორატორები ანგარიშს მხარს უქცევენ, სხვა საგანზე ლაპარაკობენ და აგიტაციას ეწევიან. კანდიდატებზე ლაპარაკი უდროვოა, ეხლა ანგარიში უნდა დავამტკიცოთ.

კ. აბაშიძე. ანგარიშს, როგორც წინადაც, ეხლაც დავამტკიცებთ, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ სასტიკი კრიტიკა როგორც ანგარიშისა, ისე ჩვენგან არჩეულ კაცების მოქმედებისა, საქმისათვის მავნებელი იყოს. პირიქით, ჩვენი სიფრთხილე საქმის ხელმძღვანელობაში, მოსამსახურე პირთა მოქმედების საფუძვლიანი კრიტიკა, თავდებია იმისი, რომ ბანკს ადრე იქნება თუ გვიან, განსაცდელისაგან ვიხსნით.

ამის შემდეგ ანგარიში მტკიცდება და კრება იხურება 6 ივნისამდე.

## მოწერილი ამბები

**სოფ. დიდი-ლილო** (ტფილისის მაზ.) გამუდმებულმა წვიმებმა იდაჯი გაგვიწყვიტა. 28 აპრილიდგან დაწყებული თითქმის ყოველ დღე მოდის წვიმა. წვიმების გა ო ყანები და ბალახი ძლიერ კარგი მოვიდა. სიამოვნებით უყურებდნენ გლეხები მშვენიერ ყანებს და თან შიშობდნენ, ვაითუ ცამ მრისხანედ გადმოგვხედოს და მოსავალი გაგვინადგუროსო. თითქოს გამართლდა მათი შიში. ზედი-ზედ რამდენჯერმე მოვიდა მსხვილი სეტყვა და მთლად ჩარეცხა 200 დესეტინამდე ყანები და სათიბი. დასეტყვა აგრეთვე ვენახები. სეტყვამ დახოცა აუარებელი შინაური ფრინველები. ზარალი საგრძნობელია..,

აქაურები გარდა ხვნა-თესვისა და მებაღეობისა სხვა არაფითარ მეურნეობის დარგს არ მისდევენ. არ მისდევენ მეძეობას, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთების მიერ მაწონის გაყიდვას. რძის გაყიდვა იმ ცრუ მორწმუნეობის გამო, ვითომ ოჯახს ბარაქა წაუვაო, საზოგადოთ არ ეხერხებათ. ცრუ მორწმუნეობისა გამო აქ არ მისდევენ არც მეაბრეშუმეობას. აბრეშუმის ჭია, მათის აზრით, დაწყევლილია და ამიტომ მას თანა სდევს რაღაც უბედურობა. წელს ადგილობრივ სკოლაში გაიჩინეს აბრეშუმის ჭია, ბავშვები მეტად დაინტერესდნენ და ერთგულადაც უვლიდნენ. შემდეგ სახლებშიაც წაიღეს ცოტ-ცოტა, რომ მშობლებისთვის ესწავლებინათ ჭიის მოვლა. მაგრამ ბევრმა ხელი აიღო ჭიის მოვლაზე ცრუმორწმუნე დედების ჩაგონებით. საუბედუროთ სკოლას სახსარი არა აქვს, რომ შეიძინოს აბრეშუმის ჭიის მოსაშენებლათ და ძაფის დასამზადებლათ საჭირო მოწყობილობანი და თვალ-ნათლივ დაანახოს ხალხს მისი სარგებლობა. მაშინ, იმედია, ცრუმორწმუნეობა მოისპობოდა და ეს სასარგებლო მეურნეობის დარგი ფეხს მოიკიდებდა.

აღსანიშნავია შემდეგი ცუდი ჩვეულება: ყოველწლივ მაისში ვიდრე ხვნას დაიწყებდნენ სოფლურად აკეთებენ სამღვთოს, რომელზედაც ჰხარჯავენ 150 — 200 მანეთს. ხარჯს კიდევ კაცი ყურადღებას არ მიაქცევდა, რომ მშვიდობით დაბოლოვდეს ხოლმე ეს სამღვთო. დამთვრალები დაერევიან ხოლმე და მართავენ ჩხუბს, რასაც შედეგით მოსდევს რამდენიმე კაცის თავ პირის დამტვრევა. ასეთივე სამღვთოს გამართვა იციან ყველა აქეთი მხრის სოფლებში და ყველგან ასეთივე ცუდი შედეგი მოსდევს ხოლმე. **ხ. კ.**

**ბეჟათუბნის საზოგადოება** (შორაპნის მაზრა). ბეჟათუბნის საზოგადოება შესდგება თხუთმეტი სოფლისაგან, სადაც ათასამდის კომლი სცხოვრობს, უმეტესობა გლეხებია, ხოლო 25 კომლამდის აზნაურნი და სასულიერო წოდებისანი. ამ საზოგადოებამ მიიღო სახელი სოფელ „ბეჟათუბნიდან“ სადაც ძველათ მის მახლობლად იყო სასაჭირო სახლები და საზოგადოების გახსნის დროს იქ გააკეთეს სასოფლო სამწერლო (კანცელარია) რომელიც დღეს გადატანილია იმავე სახელით რკინის გზის სადგურ მოლითის მახლობლად ჩრდილოეთით სოფელ ნებოძირის კუთხეზედ.

სწავლა-განათლების მხრივ ბეჟათუბნის საზოგადოება ბევრად ჩამორჩენილია, ვიდრე იმერეთის სხვა საზოგადოებანი. თუმცა არსებობს ერთი ორკლასიანი სამინისტრო სკოლა სადგურ მოლითის მახლობლად, ერთ კლასიანი სასწავლებელი სოფ. ფონაში და ერთი სამრევლო სკოლა სოფ. ზვასეში, მაგრამ ძალიან მცირე ნაწილი სარგებლობს ამ სკოლებით.

შიმშილობა საუვლეთაო მოვლენადაა თითქმის გადაქცეული. აქაც აგერ რამდენი წელიწადია შიმშილობაა და ეს უბედურება უფრო საგრძნობელია. ამ ბოლო წლებში მიზეზი შიმშილობისა არის: გვალვები, მიწის სივიწროვე თუ ძალიან შესჩეული ამიდები არ არის მოსავალი არ მოვა

ამ შიმშილობის და უმეცრების დამაგვარგვინებელია ცრუ მორწმუნოება, რომელსაც მეტად ღრმად აქვს ფესვი გადგმული. ქადაგები და მკითხავები (უმეტესად ქალები) ურჩევენ ხალხს, რომელიც მრავლად დაიარება მათთან, რომ ყოველივე უბედურება იქიდან წარმოსდგება, რომ ხატები და სალოცავები დაივიწყეთო. გადამდები სენი, სიკვდილი, სეტყვა, მიწისძვრა და უველაფერი ხალხისათვის საზარალო იქიდან წარმოსდგება, რომ ხატებს ზვარაკებს არ ვწირავთ, სამღვთოებს არ ვიხდით, პარასკევს ვტეხავთ და ვმუშაობთ, და სხვა. მკითხავების შთაგონებით სოფლებში დაუდგენიათ, რომ ვინც პარასკეობით და მამა პაპის დადებულ (უბრალო) უქმეებში იმუშაოს, იმას ნურც მივეკარებით და ნურც მოვიკარებთ, არც ქირით მოეხმაროს ვინმე და თუ რომელიმე პირი არ შეასრულებს ამ დადგენილებას, ის მთელმა სოფელმა დავარბიოთო.

**მოგზაური ქართლელ-იმერელი**

**ქვემო იმერეთი.** ქვემო იმერეთის ბაზრებზე უკვე შემოაქვთ პარკი. პარკის შემომტანელთა დიდ უმრავლესობას წონისა არაფერი გაეგება. ამით სარგებლობენ ზოგიერთი ჩარჩ-ბაცაცები და ატყუებენ ხალხს. ხონში არ არის თითქმის არც ერთი პარკის მყიდველი, რომ ხალხს წონაში ცოტათი მაინც არ ატყუებდეს. მსხვილი ვაჭრები პარკისა სისტემატიურად ყოველ ერთ ფუთ პარკზე იპარავენ 2—3 გირვანქა პარკს. წვრილი ჩარჩ-ბაცაცები კი უღმერთოდ ქქცევიან ხალხს და ხან და ხან ერთ ფუთ პარკზე 10—16 გირვანქა პარკს იპარავენ. ასეთი შემთხვევები შარშან ბევრი იყო და წელსაც რომ არ განმეორდეს, საჭირო ენერგიული ზომების მიღება ჩარჩ-ბაცაცების წინაღმდეგ ამ საქმის თაობაზედ კრებაც კი მოიწვია ინსტრუქტორმა იოსებ ქუთათელაძემ. მან შეჰკრიბა რამოდენიმე წევრი წ. კ. ს. ადგ. განყოფილებისა და აგრეთვე რამოდენიმე პარკის მყიდველიც. ამათგან ითხოვდა ამ საქმის მოწესრიგებას. კრებამ დაადგინა: პარკი აწონილ იქმნას საზოგადო სასწორზედ. საზოგადო სასწორზედ კი რიგ-რიგობით ყოველდღე უნდა აწონოს პარკი სოფლის მასწავლებლებმა ან და ინტელიგენტებმა. ასეთი დადგენილების შემდეგაც საქმე კვლავ მოუწესრიგებელი რჩება. მოუწესრიგებელი იმიტომ, რომ ხალხი კვლავ შესაძლებელია მოტყუვდეს წონაში. მთელი ქვემო იმერეთი რომ ვერ ისარგებლებს ხონში არსებულ საზოგადო სასწორით, ეს ცხადია. ცხადია ამასთანავე, რომ ვაჭრები თავიანთ სასწორზედ ბევრ პარკს მოიპარავენ. უმჯობესი იქნებოდა, ასე მოქცეულიყვნენ: ყოველ 2—3 სოფელში უნდა დაეარსებინათ საზოგადო სასწორები. ხალხისათვის წინ და წინ უნდა ეცნობებინათ საზოგადო სასწორების მნიშვნელობა და ის თუ როგორ იპარავენ პარკს ვაჭრები ფარდულებში. ვაჭრებისათვის უნდა აეკრძალათ ფარდულებში პარკის აწონვა და სხვა. სასურველია საქმე ასეც მოეწყოს. ყოველი პატიოსანი ადამიანის მოვალეობაა ვინც კი იცის წონა, დაეხმაროს ხალხს ამ გაჭირვების დროს. თუ როგორი იყო მოსავალი პარკისა ჯერჯერობით ვერაფერი ითქმის. ამაზედ შემდეგ გაუწყებ მკითხველებს ფუთი პარკი დღეს ქვემო იმერეთის ბაზრებზე 12 მანეთად იყიდება. საზოგადოებაში ხმა დადის ვითომ ც პარკის მყიდველებს კრება ჰქონიათ, და ერთმანეთში პირობა დაუდვიათ. 12 მანათზე მეტი არ მისცენ ფუთ პარკში. საზოგადოება ძლიერ უკმაყოფილო დარჩა ვაჭრების ასეთი მოქმედების გამო.

**აქილლესი.**


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—115)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1ს ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა ნავასარდიანი.**

## მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | |
|---|---|
| ბათუმისკენ: | N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ |
| ბაქოსკენ: | N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ |
| ბორჯომისკენ: | სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ. |
| ჯულფისკენ: | საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ |
| ერევნისკენ: | სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | |
|---|---|
| ბათუმიდან: | N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ. |
| ბაქოდან: | N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ. |
| ბორჯომიდან: | სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ. |
| ჯულფიდან: | საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ. |
| ერევნიდან: | სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ. |

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

## მოსავალი

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში

## იყიდება

| | | |
|---|---|---|
| 1. | ი. ჭავჭავაძე. კრიტიკული წერილები | 25 |
| 2. | ი. ჭავჭავაძე. პოლემიკური წერილები | 10 |
| 3. | ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი | 25 |
| 4. | ი. ჭავჭავაძე. აი ისტორია | 35 |
| 5. | აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული | 40 |
| 6. | აკაკი. თორნიკე ერისთავი | 35 |
| 7. | აკაკი. კრილოვის იგავ არაკები, სურათებით | 50 |
| 8. | აკაკი. ქუთათლის სიზმარი | 5 |
| 9. | აკაკი. ნაცარქექია | 10 |
| 10. | აკაკი. გოგია მეჩანგურე | 5 |
| 11. | ნ. ბარათაშვილი. ლექსები | 5 |
| 12. | ე. ნინოშვილი. გოგია უიშვილი | 5 |
| 13. | ე. ნინოშვილი. პალიასტომის ტბა | 5 |
| 14. | ა. ყაზბეგი. ელისო | 10 |
| 15. | ვაჟა-ფშაველა. ცრემლები, ლექსები | 50 |
| 16. | კარიჭაშვილი დ. საქართველოს მოკლე ისტორი. ნ. ს. | 40 |
| 17. | ნ. მარრი история грузіи | 25 |
| 18. | ი. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლება | 15 |
| 19. | ი. ჯავახიშვილი. საქარ. ეკონომიური ისტორია | 40 |
| 20. | ი. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია | 60 |

**და სხვა ყოველ გვარი ქართული წიგნი.**

ვ. ყიფიანის დრამა

## სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

— CARVER COTTOH GIN CO, EAST BRIDGEWATER, MASS. —

## კარვერ კოტონ ჯინ და ამხ. ბრიჯევატერისა

ამერიკაში

ა წ ვ დ ი ს

ყოველ-გვარ მანქანას ბამბის დასამუშავებელს, როგორც: ხელით სამუშავებელი და მოსამართი ჯინები ყველა ზომისა, ლინტერები და სხვა. სრული მოწყობა ბამბის გასარჩევ ქარხნისა პნევმატიურ მოწყობილებით.

**ერთად-ერთი წარმომადგენელნი მთელს რუსეთში**

სავაჭრო სახლი **ძმ. სტეპკუნები** ბაქოში

განყოფილებანი: მერვსა, კოკანდსა, წარმომადგენლები: ტაშკენტსა, ბაფრუმსა (სპარსეთი,. ადმინ. **კოლაკ** და ამხ. ტფილისში, ტელეფონი N 27. სატეხნიკო სახ. **ე. გ. პესერისა** ტფილისში, ტელეფონი N 687. (ტ. 10—2)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა

## „როზა“

(„ვარდი“)

ტფილისი, უნების შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.

საკეთილად მზეთირი ბილჩაში მთელ ზრინდა ფრან. ბულ ქაღალებს. იყიდება ყველგან. (100—ტ.—26)

## პარიზის მაღაზია

## დამზადებულ ტანისამოსისა

## ძმ. საფარიანცისა და ტერ-საკოვისა

## დაიწყება დიდი

# იაფობა

## 9 და 10 ივნისს

## ფასები შეუკვეცებლად

გოლოვინის პროსპექტი ტელეფონი № 258 (10—10)